



# ევროკავშირი საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა



სოფლის განვითარების პროგრამა ყაზბეგის განვითარების

ჯგუფი(LAG KAZBEGI) ღია საგრანტო კონკურსის

პროცედურები

"წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ყაზბეგის განვითარების ჯგუფი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია."

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია "People in Need" (PIN) ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ახორციელებს სოფლის განვითარების პროექტს ევროკავშირის სამეზობლო პროგრამის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის (ENPARD) ფარგლებში. პროექტი "სოფლის განვითარების მოდელის სრულყოფა საქართველოში" ხორციელდება "People in Need"-ის პარტნიორებთან: Mercy Corps და Care თან ერთად. აღნიშნული პროექტის ფარგლებში "People in Need" აცხადებს ღია საგრანტო კონკურსს- 2018 წლის თებერვალში.

კონკურსის მიზანია ყაზბეგის განვითარების ჯგუფის (LAG) მიერ შემუშავებული ყაზბეგის 2016-2020 წლების განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული პრიორიტეტებისა და მიზნების შესაბამისად, ყაზბეგში ცხოვრების სტანდარტის და სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საგრანტო კონკურსი მოიცავს მთლიანად ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ ფარგლებს. კონკურსის ფარგლებში საპროექტო განაცხადების დაფინანსება მოხდება მხოლოდ ყაზბეგის განვითარების ჯგუფის მიერ შემუშავებული დოკუმენტის - „ყაზბეგის 2016-2020 წლების განვითარების სტრატეგია“-ში ასახული პრიორიტეტების გათვალისწინებით. დაფინანსდება საჯარო, სათემო და ბიზნეს პროექტები. ყველა პროექტს მოეთხოვება თანადაფინანსება.



# ევროკავშირი საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა



## 1. საგრანტო კონკურსის ვადები

მიმდინარე პროექტის ფარგლებში მცირე საგრანტო

კონკურსი განხორციელდება 2 ეტაპად:

პირველი ეტაპი ჩატარდება 2018 წლის გაზაფხულ-ზაფხულში, ხოლო მეორე ეტაპი 2018 წლის შემოდგომა-ზამთარსა და 2019 წლის გაზაფხულზე. პროექტების განხორციელების ვადა შეიძლება იყოს 3 დან 12 თვემდე (პროექტების განხორციელება უნდა დასრულდეს 2019 წლის სექტემბრამდე).

პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავს რამდენიმე სექტორის თანამშრომლობას: თანამშრომლობა ეკონომიკურ სექტორებს შორის (მაგალითად - ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სექტორებს შორის), საჯარო და კერძო სექტორებს შორის.

საგრანტო კონკურსის ვადები:

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველები აფიქსირებენ საკუთარ იდეას ცხელ ხაზზე 2018 წლის 5-დან 14 თებერვლის ჩათვლით.

დაფიქსირებული იდეების ავტორებს შეუძლია საკუთარი პირველადი საპროექტო განაცხადი წარადგინონ PIN -ის ყაზბეგის ოფისში 2018 წლის 19 თებერვლიდან.

პირველადი საპროექტო განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2018 წლის 28 თებერვალი, 17.30 თბილისის დროით. ყველა პროექტი ნაბეჭდი სახით მიიღება PIN-ის ყაზბეგის ოფისში, მისამართზე: დაბა სტეფანწმინდა, ვაჟა ფშაველას ქ. #1.

პირველადი საპროექტო განაცხადების შეფასების ვადებია 2018 წლის 2- 17 მარტი.

პირველადი საპროექტო განაცხადების ავტორები ინფორმირებულნი იქნებიან შეფასების შედეგების შესახებ 19 მარტს, სატელეფონო ზარის მეშვეობით. ისინი მოწვეული იქნებიან შემდეგ ეტაპზე და ეცნობებათ აუცილებელი ტრენინგების განრიგი. აღნიშნულ ტრენინგებზე დასწრება სავალდებულოა. წარმატებული პირველადი საპროექტო განაცხადების სია განთავსდება PIN-ის ვებ გვერდზე და ყაზბეგის განვითარების ჯგუფის Facebook და ვებ გვერდებზე.

წარუმატებელი პირველადი საპროექტო განაცხადის ავტორებს გადაწყვეტილება ეცნობება სატელეფონო ზარის მეშვეობით და მოწვეული იქნებიან ყაზბეგის PIN-ის ოფისში, მისამართზე: დ. სტეფანწმინდა, ვაჟა ფშაველას 1, წერილობითი განმარტების დოკუმენტის მისაღებად. უარყოფითი პასუხის წერილობითი განმარტების მიღება შესაძლებელია მხოლოდ ნაბეჭდი სახით PIN-ის ყაზბეგის ოფისიდან 21-30 მარტის შუალედში.



# ევროკავშირი საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა



იმ შემთხვევაში თუ რომელიმე განმცხადებელთან ვერ მოხერხდა სატელეფონო კავშირი, განმცხადებელი შეუძლია მოითხოვოს შეფასების შედეგების გაცნობა ყაზბეგის PIN -ის ოფისში აღნიშნულ შუალედში.

სავალდებულო ტრენინგები და პერსონალური კონსულტაციები მეორე ეტაპზე გადასული აპლიკანტებისთვის ჩატარდება 2018 წლის 20 მარტი-4 აპრილის შუალედში დ. სტეფანწმინდაში.

მეორე ეტაპზე გადასულ აპლიკანტებს სრული საპროექტო განაცხადის წარდგენა შეუძლია 2018 წლის 26 მარტიდან - 5 აპრილის ჩათვლით.

სრული საპროექტო განაცხადის ჩაბარების საბოლოო ვადა: 2018 წლის 5 აპრილი, 17:30 თბილისის დროით, PIN-ის ყაზბეგის ოფისში, მისამართზე: დ. სტეფანწმინდა, ვაჟა-ფშაველას ქ. #1. სრული საპროექტო განაცხადების შეფასების ვადაა: 11-26 აპრილი 2018წ.

შეფასების კომისიის წინაშე პროექტების ავტორების მიერ ზეპირი წარდგენა მოხდება 2018 წლის 27-28 აპრილს.

საგრანტო კონკურსის მეორე ეტაპის საბოლოო შედეგები გამოცხადდება 2018 წლის 30 აპრილს. ინფორმაცია გამარჯვებული პროექტების შესახებ განთავსდება PIN-ის ვებ გვერდზე, ყაზბეგის განვითარების ჯგუფის Facebook და ვებ გვერდზე და სატელეფონო ზარის მეშვეობით ეცნობება ყველა განმცხადებელს.

წარუმატებელი საპროექტო განაცხადის ავტორებს გადაწყვეტილება ეცნობება სატელეფონო ზარის მეშვეობით და მოწვეული იქნებიან ყაზბეგის PIN-ის ოფისში, მისამართზე: დ. სტეფანწმინდა, ვაჟა ფშაველას 1, წერილობითი განმარტების დოკუმენტის მისაღებად. უარყოფითი პასუხის წერილობითი განმარტების მიღება შესაძლებელია მხოლოდ ნაბეჭდი სახით PIN-ის ყაზბეგის ოფისიდან 24-31 მაისის შუალედში.

იმ შემთხვევაში თუ რომელიმე განმცხადებელთან ვერ მოხერხდა სატელეფონო კავშირი, განმცხადებელი შეუძლია მოითხოვოს შეფასების შედეგების გაცნობა ყაზბეგის PIN -ის ოფისში აღნიშნულ შუალედში.

ყველა შემდგომი პროცედურა დამოკიდებულია პროექტის საქმიანობის სეზონურობასა და შესყიდვების პროცედურების გრაფიკზე. ბენეფიციარებთან საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდება საბოლოო შედეგების გამოცხადებიდან 20 დღის ვადაში.

2. საპროექტო იდეები და საგრანტო კონკურსში მონაწილეობის პროცედურები:



# ევროკავშირი საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა



ნებისმიერ საჯარო და იურიდიულ პირს (კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციები), რეგისტრირებულს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ ან ცხოვრობდნენ ყაზბეგის ტერიტორიაზე, შეუძლია მიიღოს მონაწილეობა საგრანტო კონკურსში (ქვემოთ ჩამოთვლილი შეზღუდვებისა და რეგულაციების გათვალისწინებით), იმ პირობით, რომ ყველა წარდგენილი პროექტის განხორციელება იგეგმება ყაზბეგის რაიონში და განმცხადებელი თანხმდება თანადაფინანსების მოთხოვნის პირობებს.

თითოეული განაცხადის დაფინანსება განისაზღვრება €1. 000 – €20. 000; ისეთი პროექტის შემთხვევაში, რომელიც რამოდენიმე სექტორის განვითარებას/თანამშრომლობას ემსახურება, ფინანსური მხარდაჭერის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება €60 000 ექვივალენტით ლარში. ლარის კურსი ევროსთან მიმართებაში დაფიქსირდება განმცხადებელთან საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

### 3. განმცხადებლის ტიპები და თანამონაწილეობა:

პროექტის ტიპი	შესაძლო განმცხადებელი	მოთხოვნილი თანამონაწილეობა
საჯარო პროექტები	ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სსიპ-ები და სხვა საჯარო სტრუქტურები.	ფულადი თანამონაწილეობა - პროექტის მთლიანი ბიუჯეტის მინიმუმ 20%.
სათემო პროექტები	საქართველოს მოქალაქეები და მოქალაქეთა ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები (აიიპ), რომლებიც ახორციელებენ პროექტებს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში.	პროექტის მთლიანი ბიუჯეტის მინიმუმ 20%. სავალდებულოა 10% ფულადი თანამონაწილეობა.



ევროკავშირი  
საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა



<p>ბიზნეს პროექტები</p>	<p>როგორც არსებული მცირე ბიზნესის წარმომადგენლები (ორგანიზაცია რომელსაც 15 თანამშრომელზე ნაკლები ყავს დასაქმებული), ასევე ინდივიდუალური პირები ან პირთა ჯგუფები, რომელნიც მზად არიან დაფინანსების მიღების შემთხვევაში დაარეგისტრირონ საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.</p>	<p>ფინანსური თანამონაწილეობა პროექტის მთლიანი ბიუჯეტის მინიმუმ 30%</p>
-------------------------	---	--

4. ფინანსები და მონიტორინგი:

4.1. დაუშვებელი ხარჯები, მათ შორის განმცხადებლის თანადაფინანსების ნაწილში:

- ვალების/სესხების დაფარვა
- მომავალი ხარჯის დაფარვა-ხელფასები/ჰონორარი და სხვა მიმდინარე ხარჯები
- უკვე აღებული ვალდებულებების დაფინანსება (მაგ. სხვა წყაროდან უკვე დაფინანსებული ვალდებულებების დაფინანსება)
- ინდივიდუალური ხარჯები (მაგ. საგანმანათლებლო და სამოგზაურო ხარჯები)

4.2. ხარჯები, რომელთა გათვალისწინება დაუშვებელია მოთხოვნილი გრანტის ნაწილში, მაგრამ შესაძლებელია განმცხადებლის თანადაფინანსების ნაწილში

- მიწის და შენობის ყიდვა
- სარემონტო მასალები და მომსახურება
- ნედლეული
- ცოცხალი საქონლის/ფრინველის იმპორტი
- ლიცენზიების, ნებართვების და მოსაკრებლების ხარჯები
- დამოუკიდებლად მოწვეული ექსპერტები და კონსულტანტები

4.3 მონიტორინგი და საქმის წარმოება:

- პროექტის დაფინანსების შემდეგ, მისი განხორციელების, მონიტორინგის დროს მონიტორინგის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა სამართლებრივი



# ევროკავშირი საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა



- და ფინანსური დოკუმენტაცია. აღნიშნული დოკუმენტაცია არ გახდება საჯარო, თუ იგი არ მოიცავს კანონმდებლობით და საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დარღვევებს.
- პირდაპირი ბენეფიციარი აწარმოებს და წარადგენს რეგულარულ ბუღალტრულ ანგარიშს, ასრულებს ყველა საგადასახადო მოთხოვნას, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. აღნიშნული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს PIN-ის და ყაზბეგის განვითარების ჯგუფის მონიტორებისათვის მინიმუმ 3 წლის განმავლობაში
- გამოცდილების გაზიარების მიზნით, PIN- ის და ყაზბეგის განვითარების ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, ბენეფიციარმა უნდა უზრუნველყოს თავისი წარმოების ჩვენება ყველა დაინტერესებული პირისათვის, საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერიდან მომდევნო მინიმუმ 3 წლის განმავლობაში.

## 5. საგრანტო კონკურსის პროცესი:

საგრანტო განაცხადების მიღებამდე განხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მაქსიმალურად გავრცელებას ყაზბეგის მუნიციპალიტეტში. ჩატარდება შეხვედრები თითოეულ სოფელში, სადაც მოსახლეობას გაეცნობა სტრატეგიის მოკლე ვერსიას. არსებული დოკუმენტი აიტვირთება People in Need<sup>1</sup>-ის ვებ გვერდზე და ყაზბეგის განვითარების ჯგუფის Facebook<sup>2</sup> და ვებ გვერდზე. ამ პროცესში ჩართული არიან, როგორც პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციების თანამშრომლები, ასევე ყაზბეგის განვითარების ჯგუფის ყველა წევრი.

პირველადი და სრული განაცხადები განიხილება ყაზბეგის განვითარების ჯგუფის პროექტების შეფასების კომისიის მიერ.

პროექტების შეფასების კომისია ყაზბეგის განვითარების ჯგუფის (LAG) მუდმივი ორგანოა. მისი წევრები ყაზბეგის განვითარების ჯგუფის გენერალურმა ასამბლეამ აირჩია (ამჟამად 16 მოქმედი წევრია). ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში ანუ თუ კომისიის წევრი ან მისი ოჯახის წევრი იღებს სარგებელს ან ფიქსირდება მათი ინტერესები განსახილველ პროექტთან მიმართებით, აღნიშნული წევრი წერილობით წარადგენს უარს ამ კონკრეტული პროექტის შეფასებაზე. მისი ხმის უფლება გადაეცემა მოწვეულ არადაინტერესებულ/ნეიტრალურ პირს, რომელსაც მხოლოდ ამ მიზნით მოიწვევს

People in Need-ი.

<sup>1</sup> იხილეთ ვებ-გვერდი [www.pin.ge](http://www.pin.ge)

<sup>2</sup> იხილეთ Facebook გვერდი - LAG Kazbegi - ყაზბეგის განვითარების ჯგუფი



# ევროკავშირი საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა



ყველა საპროექტო  
განაცხადი უნდა ჩაბარდეს

ნაბეჭდი სახით, განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის მიერ (წარმომადგენლობის დოკუმენტი იხილეთ დანართი #2-ში) შემდეგ მისამართზე: ყაზბეგი, სტეფანწმინდა, ვაჟა ფშაველას 1. 5.1 საპროექტო განაცხადის წარდგენის და შერჩევის პროცესი

საგრანტო კონკურსში მონაწილე ყველა განმცხადებელმა უნდა გაიაროს შემდეგი ეტაპები:

## 1. საპროექტო განაცხადის წარდგენა

1.1 პოტენციურმა განმცხადებელმა უნდა დაარეგისტრირდეს საპროექტო იდეები სატელეფონო ცხელი ხაზის საშუალებით, რომელსაც მოემსახურება People in Need-ის სტეფანწმინდის ოფისის თანამშრომელი, არანაკლებ 10 დღისა, სამუშაო დღეებში 10:00 დან 18:00 საათამდე. ფიქსირდება იდეა პროექტის შესახებ, პროექტის განხორციელების ადგილი, განმცხადებლის პირადი მონაცემები და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი. (ცხელი ხაზის სატელეფონო ნომერი გავრცელდება სტრატეგიის დოკუმენტის წარდგენის პარალელურად ყველა თემში და გამოიკვრება საინფორმაციო განცხადებები).

1.2 ცხელი ხაზის საშუალებით დარეგისტრირებული იდეების ავტორები, მოწვეული იქნებიან პირველად საკონსულტაციო შეხვედრაზე საგრანტო კონკურსის პირობების და პროცესის გაცნობის მიზნით. მაგალითად, ტექნიკური ასპექტები, როგორცაა: ყაზბეგის განვითარების ჯგუფის (LAG) მიერ შემუშავებული ყაზბეგის 2016-2020 წლების განვითარების სტრატეგიით

<sup>3</sup> იხილეთ [www.kazbegilag.ge](http://www.kazbegilag.ge)

განსაზღვრული პრიორიტეტები და მიზნები, საპროექტო განაცხადის შეფასების და მართვის პროცედურები; ბიზნეს განაცხადის სპეციფიური მოთხოვნები - სამართლებრივი რეგისტრაციის ფორმები, საგადასახადო ვალდებულებები, სანიტარული ნორმები, სტანდარტიზაცია და ა.შ

1.3 დამატებით გაიმართება ინდივიდუალური ან ჯგუფური საკონსულტაციო შეხვედრები განმცხადებლებთან, ვის მიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადის იდეაც ექვემდებარება კანონმდებლობით გათვალისწინებულ სპეციფიურ რეგულაციებს და ნებართვებს. მაგალითად, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარული და ფიტოსანიტარული ნორმები და ა.შ.

1.4 პირველადი საკონსულტაციო შეხვედრების შემდეგ, საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მსურველები წარადგენენ საპროექტო იდეის პირველად განაცხადს (დანართი 1) ნაბეჭდი ფორმით, People in Need -ის ყაზბეგის ოფისში, დადგენილი ვადების ფარგლებში.თუ განაცხადში გამოტოვებულია



# ევროკავშირი საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა



რომელიმე პუნქტი, ან არ  
არი დაცული სიტყვების

მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა, ასეთი განაცხადი გაეთიშება  
საგრანტო კონკურსს.

- 1.5 საპროექტო იდეის პირველად განაცხადის წარდგენის შემდეგ, მოხდება მისი შედარება ყაზბეგის განვითარების სტრატეგიისა და საგრანტო კონკურსის ძირითად კრიტერიუმებთან ყაზბეგის განვითარების ჯგუფის პროექტების შეფასების კომისიის მიერ (იხილეთ პირველადი საპროექტო განაცხადის შეფასების ფორმა და კრიტერიუმები). ყველა პირველადი განაცხადი, რომელიც კრიტერიუმებს შეესაბამება, დაშვებული იქნება შემდეგ ეტაპზე - ვრცელი საპროექტო განაცხადის მომზადების ეტაპზე. **ყურადღება:** არასრული განაცხადების მიღება არ დაიშვება! ორი ერთგვაროვანი (მსგავსი) პროექტის შეფასებისას უპირატესობა მიენიჭება იმ პროექტს, რომელიც წარმოდგენილია ყაზბეგში მუდმივად მცხოვრები განმცხადებლის მიერ.
- 1.6 ვრცელი საპროექტო განაცხადის მომზადების ეტაპზე, განმცხადებელთა თემატურ ჯგუფებს (სასტუმრო, სათბური, საცხოობი და ა.შ) ჩაუტარდება ტრენინგები ტექნიკურ საკითხებში, მათ შორის ბიზნეს გეგმის მომზადება, ფინანსური ასპექტები, მარკეტინგი და ა.შ. დასწრება სავალდებულოა! განმცხადებლის არყოფნის შემთხვევაში დაიშვება მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.
- 1.7 ტრენინგების შემდგომ, განმცხადებლები დამოუკიდებლად მოამზადებენ და წარადგენენ სრული საპროექტო განაცხადის ნარატიულ (ტექსტურ/აღწერილობით) ნაწილს ნაბეჭდი ფორმით (დანართი 3, ნაწილი 1), People in Need -ის ყაზბეგის ოფისში, დადგენილი ვადების ფარგლებში. განაცხადება გამოგზავნილი ფაქსით, ელექტრონული ფოსტით და საფოსტო მისამართზე არ მიიღება. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ არასრული განაცხადები არ მიიღება. თუ განაცხადში გამოტოვებულია რომელიმე პუნქტი, ან არ არი დაცული სიტყვების მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა, ასეთი განაცხადი გაეთიშება საგრანტო კონკურსს. იწარმოება მიღებული დოკუმენტების სია და ყოველ განაცხადს მიენიჭება უნიკალური სარეგისტრაციო ნომერი.
- 1.8 **სრული საპროექტო განაცხადის მიღებისას, საინიციატივო ჯგუფებს მოეთხოვება სოფლის მოსახლეობისგან ხელმოწერებით დადასტურებული დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება თემის საჭიროება. ხოლო თანადაფინანსების თანხა სოფლის მაცხოვრებლებისგან უნდა აგროვდეს.**
- 1.9 ვრცელი საპროექტო განაცხადის (დანართი 3 - ნაწილი 1 და ნაწილი 2) მომზადების ეტაპზე გაიმართება ინდივიდუალური კონსულტაციები მოწვეულ ექსპერტებთან – ბიზნეს გეგმა, ფინანსური ასპექტები, მარკეტინგი მათთვის ვისაც სჭირდება მსგავსი მხარდაჭერა.
- 1.10 ვრცელი საპროექტო განაცხადების მიღება დაუშვებელია ზემოთ მოცემული ვადების გასვლის შემდეგ.





# ევროკავშირი საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა



## 2. სრული საპროექტო განაცხადების შეფასება

- 2.1 შეფასების კომისიის წევრებს მიეცემა დრო, რათა წაიკითხონ საპროექტო განაცხადები, შეაფასონ ისინი ინდივიდუალურად და დადონ წერილობითი დასკვნა. შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს სტრატეგიიდან, რომელიც დაამტკიცა ყაზბეგის განვითარების ჯგუფმა (სრული საპროექტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმები იხილეთ ქვემოთ).
- 2.2 მოწვეული ექსპერტი პარალელურ რეჟიმში, ბიზნეს სექტორის საპროექტო განაცხადებზე ამზადებს ფინანსურ შეფასებას და შესაბამის რეკომენდაციებს პროექტების შეფასების კომისიისთვის.
- 2.3 People in Need -ის ყაზბეგის ოფისის თანამშრომლები პარალელურ რეჟიმში შეაფასებენ საპროექტო განაცხადში გამცხადებლის მიერ აღწერილ, პროექტისათვის განკუთვნილ უძრავ და მოძრავ აქტივებს ადგილზე გასვლებით და წარუდგენენ შესაბამის რეკომენდაციებს პროექტების შეფასების კომისიას.
- 2.4 შეფასების კომისია ჩანიშნავს სპეციალურ შეხვედრას სრული საპროექტო განაცხადის ავტორებთან, რომლებიც ინდივიდუალურად, ზეპირად წარადგენენ საკუთარ განაცხადებს. პროექტის პრეზენტაცია ღიაა საზოგადოებისათვის. კომისიის წევრებს შეუძლიათ დასვან დამატებითი კითხვები. პროექტის შეფასება ხდება ქულების სისტემით ზამოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციების, დასკვნების და ზეპირი პრეზენტაციის საფუძველზე. ქულების სისტემით დადგინდება სრულყოფილი განაცხადები, განაცხადები მცირე ხარვეზებით და არადამაკმაყოფილებელი განაცხადები. შეფასების შედეგები საჯაროდ იქნება გამოცხადებული, თითოეული პროექტის მიღების თუ უარყოფის წერილობითი დასაბუთებით.
- 2.5 მცირე ხარვეზების მქონე განაცხადების ავტორებს მიეცემათ დამატებით ერთი კვირა განაცხადის სრულყოფისთვის.
- 2.6 პროექტების შეფასების კომისია ჩანიშნავს მეორე სხდომას, სადაც თავიდან შეაფასებენ ხარვეზების მქონე განმეორებით წარმოდგენილ განაცხადებს.
- 2.7 მესამე სხდომაზე კომისია განიხილავს სრულყოფილი განაცხადების მხარდაჭერის საკითხს, უმაღლესი ქულების მქონე პროექტების უპირატესობით, საგრანტო კონკურსის პირველი ეტაპის დაფინანსების ფარგლებში.

## 6. საგრანტო ხელშეკრულება და შესყიდვები:

- მხარდაჭერილი საპროექტო განაცხადის ავტორები People in Need -ის შესყიდვების ექსპერტებთან ერთად, ამზადებენ საჭირო დოკუმენტაციას.
- პარალელურად, ბიზნეს სექტორის მხარდაჭერილი საპროექტო განაცხადის ავტორები სამართლებრივად რეგისტრირდებიან (თუ ჯერ



# ევროკავშირი საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა



არ არიან  
რეგისტრირებული) და

წარადგენენ სათანადო დოკუმენტს (მაქსიმუმ ერთი კვირის ვადაში)

- შემდგომ, მხარდაჭერილი საპროექტო განაცხადის ავტორებთან გაფორმდება საგრანტო ხელშეკრულება.
- განმცხადებელი ახორციელებს საკუთარი ფინანსური თანამონაწილეობის ფარგლებში შესყიდვების პროცედურებს მხოლოდ საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ და შესაბამის საბუღალტრო დოკუმენტაციას წარადგენს People in Need-ის სტეფანწმინდის ოფისში.
- განმცხადებლის მხრიდან თანამონაწილეობის ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების მიღების შემდეგ, People in Need-ი დაიწყებს შესყიდვების პროცესს, რომელიც განხორციელდება People in Need- ის და ევროკავშირის შესყიდვების რეგულაციების შესაბამისად.

დაკმაყოფილებული განაცხადის ავტორები People in Need-ის მიერ შეძენილ ქონებას მიიღებენ დროებით **სარგებლობაში 2019 წლის აგვისტოს ბოლომდე.**

ყველა დაკმაყოფილებული განაცხადი დაექვემდებარება მონიტორინგის/შემოწმების პროცესს, რათა შეფასდეს საპროექტო განაცხადში აღწერილი მიზნების და ამოცანების განხორციელების ეფექტურობა. მონიტორინგი განხორციელდება, როგორც People in Need-ის სტეფანწმინდის ოფისის თანამშრომლების, ასევე ყაზბეგის განვითარების ჯგუფის პროექტების შეფასების კომისიის მიერ, **ყოველთვიურად 2019 წლის სექტემბრის ბოლომდე.**

მონიტორინგის ფარგლებში შეფასდება, როგორც იმ საქმიანობების და მიზნების მიღწევა, რომელიც პროექტით იყო დასახული, ასევე ყველა ფინანსური და სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება კონკრეტული პროექტის განხორციელებას, რათა გამოვლინდეს საგრანტო ხელშეკრულების დარღვევები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგის ყველა ანგარიშმა გამოავლინა პროექტის წარმატებული მიმდინარეობა და არ დაფიქსირდა საგრანტო ხელშეკრულების პირობების დარღვევები, ბენეფიციარის დროებით სარგებლობაში მიღებული ქონება, დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემათ საკუთრებაში.

## 7. პროექტის შერჩევის კრიტერიუმები

კრიტერიუმები გაეცნობა ყველა ცხელ ხაზზე დაფიქსირებული საპროექტო იდეის ავტორს პირველადი კონსულტაციების ეტაპზე. კრიტერიუმები განსაზღვრულია ყაზბეგის განვითარების ჯგუფის მიერ.



ევროკავშირი  
საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა



7.1 პირველადი საპროექტო განაცხადის შეფასების ფორმა და კრიტერიუმები

<p>პირველადი საპროექტო განაცხადის შეფასების ფორმა</p> <p>პროექტის სახელი:</p> <p>განმცხადებელი/ჯგუფი:</p> <p>შემფასებლის სახელი:</p> <p>შეფასების თარიღი:</p>		
<p>ნაწილი 1</p> <p>სავალდებულო კრიტერიუმები განაცხადისთვის</p>	<p>ყველა</p>	<p>კი/არა</p> <p>(პროექტი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ყველა სავალდებულო კრიტერიუმს არ შეფასდება მეორე ნაწილში)</p>
		<p>შემფასებლის კომენტარი</p>
<p>პროექტი განხორციელდება ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე</p>		
<p>განმცხადებელი ფიზიკური პირი არის საქართველოს მოქალაქე/განმცხადებელი ორგანიზაცია არის დარეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის</p>		
<p>შესაბამისად</p>		



ევროკავშირი  
საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა



<p>საპროექტო განაცხადი შეესაბამება ყაზბეგის განვითარების ჯგუფის მიერ შემუშავებული 2016- 2020 ყაზბეგის განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტებს და ნათლად არის დადასტურებული ეს კავშირი(პრიორიტეტული სფეროს და ამოცანის მითითებით)</p>		
<p>პროექტი არ აყენებს ზიანს გარემოს/მითითებულია გარემოსდაცვითი პრაქტიკის დანერგვა</p>		
<p>პროექტი არ არის პოლიტიკურად ან რელიგიურად მიკერძოებული</p>		
<p>განმცხადებელი ვალდებულებას იღებს აუცილებელ თანადაფინანსებაზე</p>		
<p>ნაწილი 2  კრიტერიუმები</p>	<p>ქულები მაქსიმუმი ან 0</p>	<p>შემფასებლის კომენტარი 0 ქულის შემთხვევაში</p>
<p>პროექტი ხელს უწყობს ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობას/დასაქმებას</p>	<p>25</p>	



ევროკავშირი  
საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა



პროექტი ნათლად წარმოადგენს ინოვაციურ მიდგომას/ტექნოლოგიებს/ გვთავაზობს ყაზბეგისთვის ახალ	25	
მომსახურებას ან პროდუქციას		
პროექტი არ უწყობს ხელს გენდერულ დისკრიმინაციას	5	
ბიუჯეტის დასაბუთება ნათელი და შესაბამისია	10	
განმცხადებელს აქვს შესაბამისი გამოცდილება/უნარები	10	
პროექტი ასაქმებს ადგილობრივ მოსახლეობას	15	
საჭიროება გამართლებულია, ბენეფიციართა ჯგუფი ნათლადაა განსაზღვრული	10	
ჯამური ქულა: მაქსიმუმ 100		

ყველა პირველადი საპროექტო განაცხადი დამოუკიდებლად შეფასდება შეფასების კომისიის სამი წევრის მიერ.

ერთი შემფასებელი ერთ პროექტს აძლევს მაქსიმუმ 100 ქულას. ერთ პროექტზე მაქსიმალური ქულების რაოდენობაა- 300. პროექტი, რომელიც მიიღებს 120 ქულაზე ნაკლებს, ვერ გადავა შემდეგ ეტაპზე.

7.2 სრული საპროექტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმები

კრიტერიუმებთან შესაბამისობის გარდა, უმაღლესი შეფასების მისაღებად, სრულ განაცხადს ესაჭიროება ორი დამატებითი მხარდაჭერის რეკომენდაცია:



# ევროკავშირი საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა



1. ფინანსური ეფექტურობის შეფასება მოწვეული ბიზნეს ექსპერტის მიერ; 2. PIN-ის თანამშრომლების მიერ განხორციელებული ფაქტიური შეფასება იმ უძრავ-მოძრავი ქონების საკუთრების თუ განკარგვის უფლების, რომელიც განმცხადებელმა განაცხადში პროექტის არაფინანსური თანამონაწილეობის ნაწილში განსაზღვრა

## სრული განაცხადის შეფასების სისტემა

პროექტის სახელი/ განმცხადებელი	ძირითად კრიტერიუმებთან მიმართებით მიღებული ქულების რაოდენობა	სპეციფიურ კრიტერიუმებთან მიმართებით მიღებული ქულების რაოდენობა	ბიზნეს ექსპერტის მხარდაჭერის რეკომენდაცია დადებითი - 50 ქულა უარყოფითი - 0 ქულა	PIN-ის თანამშრომელთა მონიტორინგის რეკომენდაცია დადებითი - 50 ქულა უარყოფითი - 0 ქულა	სულ ქულათა ჯამი

### 7.2.1 შეფასების ფორმა, ძირითადი და სპეციფიური კრიტერიუმები საჯარო პროექტებისათვის

ნაწილი 1	კი/არა	შემფასებლის დასაბუთება
ძირითადი კრიტერიუმები	(პროექტი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ყველა სავალდებულო კრიტერიუმს არ შეფასდება მეორე ნაწილში)	



ევროკავშირი  
საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა



1.	სწორად არის განსაზღვრული თანადაფინანსების პროცენტი (20%)		
2.	პროექტის ამოცანები თანხვედრაშია ყაზბეგის 2016-2020 წლების განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტებთან		
3.	პროექტი ვერ ფინანსდება		

	სხვა წყაროდან, საკუთარი ბიუჯეტიდან; (წერილობით დადასტურებული)		
ნაწილი 2 სპეციფიური კრიტერიუმები		მინიჭებული ქულები 0-დან 10-მდე (0-3 საერთოდ არ შეესაბამება 3-6 ნაწილობრივ შეესაბამება 6-10 სრულად შეესაბამება)	შემფასებლის დასაბუთება
1.	მხარს უჭერს ახალგაზრდობის ჩართულობას		
2.	ხელს უწყობს/წერგავს გარემოს დაცვით მიდგომებს		
3.	ნათლად გამოკვეთა პირდაპირი და არაპირდაპირი მოსარგებლეების რაოდენობა		
4.	ხელს არ უწყობს გენდერულ დისკრიმინაციას		



ევროკავშირი  
საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა



5.	რეალისტური/განხორციელებადი სამოქმედო გეგმა და აქტივობების გამჭვირვალობა		
6.	კერძო და სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობა		
7.	თემის ჩართულობა პროექტის შემუშავებასა და განხორციელებაში		
8.	სპეციალური საჭიროების ჯგუფების ჩართულობა პროექტში, ან მათ სარგებელზე მიმართული საქმიანობა		
9.	ბიუჯეტის ეფექტურობა		
10.	პროექტის შედეგის მდგრადობა აღწერილია და დემონსტრირებულია ნათლად		
		მინიჭებულ ქულათა რაოდენობის ჯამი:	

7.2.2 შეფასების ფორმა, ძირითადი და სპეციფიური კრიტერიუმები ბიზნეს პროექტებისათვის - მოქმედი და დამწყები ბიზნესები.

<p>შეფასების ფორმა - ბიზნეს პროექტის სრული განაცხადი პროექტის სახელი/განმცხადებელი შემფასებლის სახელი შეფასების თარიღი</p>
--





ევროკავშირი  
საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა



ნაწილი 1 ძირითადი კრიტერიუმები	კი/არა  (პროექტი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ყველა სავალდებულო კრიტერიუმს არ შეფასდება მეორე ნაწილში)	შემფასებლის დასაბუთება
1. სწორად არის განსაზღვრული თანადაფინანსების პროცენტი (30%)		
2. პროექტის ამოცანები თანხვედრაშია ყაზბეგის 2016-2020 წლების განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტებთან		
3.		
ნაწილი 2 სპეციფიური კრიტერიუმები	მინიჭებული ქულები 0-დან 10-მდე (0-3 საერთოდ არ შეესაბამება 3-6 ნაწილობრივ შეესაბამება 6-10 სრულად შეესაბამება)	შემფასებლის დასაბუთება
1. მხარს უჭერს ახალგაზრდობის ჩართულობას		
2. ნათლად წარმოაჩენს სექტორებს შორის თანამშრომლობას		
3. გვთავაზობს ინოვაციურ მიდგომას/წერგავს ახალ ტექნოლოგიებს		



ევროკავშირი  
საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა



4.	ნათლად გამოკვეთა პირდაპირი და არაპირდაპირი მოსარგებლეების რაოდენობა		
5.	ხელს არ უწყობს გენდერულ დისკრიმინაციას		
6.	რეალისტური/განხორციელებადი სამოქმედო გეგმა და აქტივობების გამჭვირვალობა		
7.	სპეციალური საჭიროების ჯგუფების ჩართულობა პროექტში, ან მათ სარგებელზე მიმართული საქმიანობა		
8.	ხელს უწყობს/ნერგავს გარემოს დაცვით მიდგომებს/ ენერგო ეფექტურ პრაქტიკას		
9.	გვთავაზობს ინოვაციურ მიდგომას/ნერგავს ახალ ტექნოლოგიებს		
10.	პროექტი ნათლად გამოხატავს დაბიდან და სამხედრო გზიდან მოშორებით მდებარე სოფლების მხარდაჭერას		
		მინიჭებულ ქულათა რაოდენობის ჯამი:	



ევროკავშირი  
საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა



7.2.3 შეფასების ფორმა, ძირითადი და სპეციფიკური კრიტერიუმები სათემო  
პროექტებისათვის - არაკომერციული ორგანიზაციები და  
საინიციატივო ჯგუფები.

შეფასების ფორმა სათემო პროექტებისათვის - არაკომერციული ორგანიზაციები და საინიციატივო ჯგუფები. პროექტის სახელი/განმცხადებელი/ჯგუფი შემფასებლის სახელი შეფასების თარიღი				
ნაწილი 1 ძირითადი კრიტერიუმები		ქულათა მაქსიმალური რაოდენობა	მინიჭებული ქულები	შემფასებლის დასაბუთება
1.	სწორად არის განსაზღვრული თანადაფინანსების პროცენტი (20%) შესაძლებელია არაფინანსური/საკუთარი შრომით	10		
2.	პროექტის შედეგის მდგრადობა	10		
3.	პროექტის ამოცანები თანხვედრაშია ყაზბეგის 20162020 წლის განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტებთან	10		
4.	მხარს უჭერს ახალგაზრდობის ჩართულობას	20		
5.	ხელს არ უწყობს გენდერულ დისკრიმინაციას	10		
6.	ხელს უწყობს/ნერგავს გარემოს დაცვით მიდგომებს/ ენერგო ეფექტურ პრაქტიკას	10		
7.	გვთავაზობს ინოვაციურ მიდგომას პრობლემის	20		
	გადაჭრისთვის/ნერგავს ახალ ტექნოლოგიებს			



ევროკავშირი  
საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა



8.	პროექტი ნათლად გამოხატავს დაბიდან და სამხედრო გზიდან მოშორებით მდებარე სოფლების მხარდაჭერას	10		
9.	ნათლად აღწერს პირდაპირ და არაპირდაპირ მოსარგებლეთა რაოდენობას	10		
		ქულათა მაქსიმალური რაოდენობა:100	მინიჭებულ ქულათა რაოდენობის ჯამი:	
ნაწილი 2 სპეციფიური კრიტერიუმები		ქულათა მაქსიმალური რაოდენობა	მინიჭებული ქულები	შემფასებლის დასაბუთება
10.	ორგანიზაციის, ჯგუფის ან მისი წევრების გამოცდილება	20		
11.	პასუხობს თემის რეალურ საჭიროებას და აჩვენებს მასზე გავლენას	20		
12.	განხორციელებადი/ რეალისტური გეგმა და პროექტის აქტივობების გამჭვირვალობა	20		
13.	ბიუჯეტის ეფექტურობა	20		
14.	სპეციალური საჭიროებების ჯგუფების ჩართულობა ან მათ სარგებელზე მიმართული საქმიანობა	20		
		ქულათა მაქსიმალური რაოდენობა:100	მინიჭებულ ქულათა რაოდენობის ჯამი:	

აპელაციის პროცედურები

ყველა ინფორმაცია განაცხადზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ მიეწოდება პერსონალურად განმცხადებელს. ყველა გამარჯვებული განაცხადი,



# ევროკავშირი საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა



დასაფინანსებელი  
პროექტის

აღწერილობასთან ერთად აიტვირთება შესაბამის ვებ-გვერდზე.  
ხოლო ყველა უარყოფილი განაცხადის წარმომდგენელს წერილობითი სახით მიეწოდება დეტალურ ინფორმაცია იმ მიზეზების შესახებ, თუ რატომ იქნა განაცხადი შეჩერებული. ყველა იმ განმცხადებელს ვინც თვლის, რომ მათი პროექტი არასამართლიანად იქნა უარყოფილი ან შესაბამისი პროცედურები არ იყო დაცული, შეუძლია მიმართოს People in Need-ის ყაზბეგის პროექტის მენეჯერს წერილობითი ფორმით აპელაციისთვის, რომელზეც პროექტის მენეჯერი დამოუკიდებლად მოიპოვებს დამატებით ინფორმაციას და განმცხადებელს მიიწვევს შეხვედრაზე. თუ განმცხადებელს ექნება ძლიერი არგუმენტები და ფაქტობრივად და დოკუმენტურად დასტურდება პროცედურების დარღვევა, მაშინ პროექტის მენეჯერი წერილობითი რეკომენდაციით მიმართავს ყაზბეგის განვითარების ჯგუფის თავმჯდომარეს საკითხის და შემდგომი ნაბიჯების განხილვისთვის ყაზბეგის განვითარების ჯგუფის პროექტების შეფასების კომისიასთან.

დადებითი პასუხის მიღებიდან 15 დღის ვადაში აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს PIN-ის მიერ მოთხოვნილი მასალების/დანადგარის სპეციფიკაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში პროექტი არ დაფინანსდება მიუხედავად დადებითი პასუხისა.